შაბარი 1918 წ. აპრილის, 14—(27) № 74
წელიწადი მეორე

შაბათი 1918 წ. აპრილის, 14—(27) № 74
ფასი 20 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч. ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

10 აპრილს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სევასტი ნიკოლოზის ძე ერისთავი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ცოლი და შვილები გარდაცვალებულისა. პანაშვიდები ყოველ დღე 6 ნახევარ საათზე საღამოობით. გამოსვენება დასაკრძალავად მოხდება შაბათს 14 აპრილს დილის 9 საათზე, ოლდენბურგის ქუჩიდან საფიჩხიის ეკლესიაში. 2—1

ღრმად მწუხარებაში მყოფი ტელემაკ გურული ოჯახითურთ აუწყებს ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ ტრაგიკულად გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარ

ვალოდი |აკაკი| ნიჟარაძისას,

რომლის გასვენება ქუთაისიდან სოფ. მაღლაკში მოხდება კვირას აპრილის 15 დილის 9 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ძველი თბილისის ქუჩა. 3—1

ღრმად დამწუხრებულნი ძმა გიორგი ნიჟარაძე, მეუღლე მისი თამარ დეიდა მართა ლორთქიფანიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, ტრაგიკულად გარდაცვალებას საყვარელ და დაუვიწყარ

ვალოდი |აკაკი| ნიჟარაძისას.

გარდაცვალებულის გამოსვენება ქ. ქუთაისიდან სოფ. მაღლაკში მოხდება კვირას აპრილის 15 დილის 9 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღეს საღ. 6 საათზე. ძველი თბილისის ქ. საკ. სახლში. 3—1

ივანე ბესარიონის ძე ნიჟარაძე ამით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მისი შვილის

ვალოდია ნიჟარაძის

ცხედრის გასვენება ქ. ქუთაისიდან სოფ. მაღლაკს მოხდება კვირას, 15 ამა აპრილს, დილის 9 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ძველი თბილისის ქუჩა, საკუთარი სახლი.

26 მარტს, ამა წლისა სხვა ქართველებთან ერთად ქალაქ არმავირში დახვრიტეს, ულანის პოლკის პორუჩიკი და გიორგის კავალერი

ნიკოლოზ |ნიკა| პარმენის ძე კორძაია.

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ბიძა ნოე, ბიცოლა ოლინკა, მამიდა მარიამ დადიანი და ბიძის შვილი დავით (კაპუ) კორძაიები, რომლისათვის გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი 14 აპრილს! დილით შაბათს, ქ. ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე დილის 11 საათზე.

**ქალაქ ქუთაისის სასურსათო კომიტეტის გამგეობა ამით აცხადებს, რომ**

ფართლეულობის დანიშვნა და აღნუსხვა მოიხსნა

**ყველა ვაჭარს ნება ეძლევა თავისუფალი ვაჭრობისა:**

შემოზიდვა შეუძლიათ ყოველი მხრიდან, მხოლოდ გუბერნიიდან გაზიდვის უფლება ეძლევა გუბერნიის სასურსათო კომიტეტის მიერ.

## მართვა-გამგეობის სისტემა უნდა შეიცვალოს.

უკვე ვთქვით, რომ ჩხენკელს, თუ გეგეჭკორის კვალს მისდია, გეგეჭკორისავე ბედი ეწევა.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია თუ მხოლოდ სიტყვით იქნა აღსრულებული, ნამდვილად კი განუხორციელებელი დარჩა, ანარქიას ბოლო არ მოეღება.

ამიერ-კავკასიის სამინისტრო უკვე შესდგა. მაგრამ განა, მაგალითად, სამხედრო მინისტრს სომხები, თათრები, ლეკები და ქართველები თანაბრად დაემორჩილებიან?! განა ფინანსთა მინისტრი შესძლებს მთელ ამიერ-კავკასიას სათანადო სახელმწიფო გადასახადები ზიარ ხაზინაში შეატანინოს? განა საერთო ქაღალდის ფულს ფასი ექნება?! ყველაფერი ეს, რასაკვირველია, შეუძლებელია და მაშასადამე, ამიერ-კავკასია, როგორც გაერთიანებული რესპუბლიკა—მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი იქნება.

მაშ თვითეულს შემადგენელ ნაწილს—საქართველოს, აზერბეიჯანს, ლეკეთს, გუმბრის რესპუბლიკასა და საქართველოს—საკუთარი სამხედრო, საფინანსო, სასურსათო, შინაგან და სხვა საქმეთა მინისტრები უნდა ყავდეს და საკუთარი ხაზინა, ფული და მართვა-გამგეობის სისტემა უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ამ პირობით იქნება შესაძლებელი თვითეული რესპუბლიკის ეროვნულ ძალთა შეკრება.

ამიერ-კავკასიის სეიმს კი უნდა შერჩეს ორი დიდი ფუნქცია: საბაჟო საქმეები—ვინაიდან მთელი ამიერ-კავკასია ერთს საბაჟო ფარგალში უნდა მოექცეს—და საგარეო პოლიტიკის წარმოება. ამ ჟამად სეიმს ეს უკანასკნელი ფუნქცია განუსაზღვრელად, უპირობოდ, უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან ეს—საზავო მოლაპარაკებას გააადვილებს და კეთილად დააბოლოებს.

მაშ დროა ბარემ შევთანხმდეთ, გავიმიჯნოთ და გამოვეყოთ ერთმანეთს. მაგრამ გვეტყვიან: გამიჯნვა, სადავო საკითხების შესახებ შერიგება,—ადვილი საქმე არ არისო. ვერ გავიზიარებ ამ ცრუ რწმენას. გულწრფელი თუ ვიქნებით, ადვილად შევრიგდებით. საჭიროა მხოლოდ დათმობა, კომპრომისი: უკომპრომისოდ არაოდეს არაფერი საქმე არ გაკეთებულა. მეორე მხრით, ის სადავო საქმეები, რომელთა შესახებაც ვერ შევთანხმდებით, სამედიატორო სასამართლოს ანუ არბიტრს უნდა გადაეცეს.

ვიდრე საერთაშორისო ომი დაიწყებოდა, ინგლისმა ბევრ სახელმწიფოსთან დასდო პირობა, რომ სადავო საქმეები არბიტრაჟით გადაწყვეტილიყო. ეს სისტემა, უეჭველია, ომის შემდეგ საყოველთაოდ აღიარებული იქნება, ვინაიდან ეს ერთად-ერთი საშუალებაა სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად. და, ცხადია, ჩვენც ამ საშუალებას უნდა მივმართოთ.

ვის ხელში იქნება ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და სხ. შემოსავალი? თვითეული რესპუბლიკის, მაგალითად, საქართველოსი, ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და სხ. შემოსავალი ამ რესპუბლიკისავე საკუთრებას უნდა შეადგენდეს. ხოლო თვითეული რესპუბლიკის ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი კონფედერაციის საქმეს უსასყიდლოდ უნდა ემსახურებოდეს. იმავე დროს საფოსტო, სატელეფონო და სატელეგრაფო ურთიერთობას კონფედერაციაში წინასწარი შეთანხმებული წესი უნდა ედვას საფუძვლად და არაფერი უნდა აბრკოლებდეს.

ამიერ-კავკასიის რკინისგზის შემოსავალი ზიარი უნდა იყოს, ვინაიდან, ჯერ ერთი, მას საერთო მნიშვნელობა აქვს, და, მეორე საერთო ხარჯით გაკეთებული იყო. დანარჩენი რკინისგზების შემოსავალი კი უნდა ეკუთნოდეს იმ რესპუბლიკას, სადაც ხსენებული რკინის გზებია. მაგრამ, თუ კონფედერაციის თავდაცვა მოითხოვს, თვითეული რესპუბლიკის რკინის გზები კონფედერაციის ზიარ საჭიროებას უნდა მოხმარდეს.

თვითეულ რესპუბლიკას საკუთარი სასამართლო უნდა ჰქონდეს, მაგრამ ორ რესპუბლიკას შორის ამტყდარი დავა კონფედერაციის საბჭომ უნდა გადასწყვიტოს. იმავე დროს თვითეულ რესპუბლიკას ექნება საკუთარი სისხლის, სამოქალაქო, სავაჭრო და სხ. სამართალი.

საჭირო არ არის ყველაფრის დაწვრილებით აღნიშნვა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამიერ-კავკასიის კონფედერაციის კონსტიტუციას თვითეული რესპუბლიკის სუვერენობა ანუ დამოუკიდებლობა უნდა ედვას საფუძვლად.

რატომ ფედერაცია არაო? გვკითხავენ. იმიტომ არა, რომ, როგორც არაერთხელ გვითქვამს, ფედერაცია—იგივე ცენტრალიზმია და იმდენს რასმე საზიაროს შეიცავს, რომ წესიერი, ნორმალური თანამშრომლობა გაგვიჭირდება. შვეიცარიაში რომ ოცდაორი კანტონია, ოცდაორი ერი კი არ არის, არამედ სულ სამი ერია. და, იქ რომ სამი კანტონის ფედერაცია ყოფილიყო, არ იქნებოდა გასაკვირალი, ვინაიდან იქაური გერმანელები, ფრანგები და იტალიელები ზნე-ჩვეულებით, კულტურითა და ისტორიული თავგადასავალით—ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ჩრდილო ამერიკის ფედერაციაში ერთი ერია და მაშასადამე ფედერაციას იქ—მტკიცე საფუძველი აქვს. ამიერ-კავკასიაში კი თათრები, ლეკები, სომხები და ქართველები ზნეჩვეულებით, კულტურით, სარწმუნოებითა და ისტორიული წარსულით ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან და მაშასადამე ფედერაცია — შეუძლებელია.

მაშ **კონფედერაცია და არა ფედერაცია!** აი ჩვენი უახლოესი იდეალი.

ვისილ წერეთელი

## ჩვენი გზა.

ბ.

საქართველოს სრული დამოუკიდებლობა თან დროულ მდგომარეობის აუცილებელი-სალი მოთხოვნილებაა „ამიერ-კავკასიის ხალხთა ერთ თუნდ ფედერატიულ ოჯახად გამოცხადება ბუნდოვანი გადაჭრაა ამიერ-კავკასიის პოლიტიკური კითხვის და თან საბედისწერო. განვლეთ პერიოდი საერთო საამიერკავკასიო მთავრობისა, როგორც ახლა ისე მაშინ ამიერ-კავკასიის საერთო მთავრობაში თვალსაჩინო ადგილი ჰქონდათ დათმობილი თათრებს და სომხებს, აქედან ის გამომდინარეობს, რომ თათრის და სომხის ერი წარმოდგენილი იყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში, რის გამოც პირდაპირ ამ რესპუბლიკის მორჩილებაში უნდა ყოფილიყო. ასე არ იყო. სომხები და თათრები ფაქტიურად დამოუკიდებელნი შეიქმნენ. ისინი არ ასრულებდენ ამიერ-კავკასიის მთავრობის განკარგულებათ და ხშირად მის წინააღმდეგაც მიდიოდენ. მიწის დეკრეტი არ გავრცელდა არც თათრულ და არც სომხურ პროვინციებში. ამიერ-კავკასიის მთავრობამ 25 წ. მობილიზაცია გამოაცხადა, სომხურმა ეროვნულმა საბჭომ კი 32 წლამდე. თათრული და სომხური პროვინციები არ იხდიდენ ხარკს და არც ახლა იხდიან გადასახადებს ხსენებული პროვინციები ექვემდებარებოდენ ეროვნულ საბჭოებს. გუმრიდან ბრძანებლობდა სომხის ეროვნული საბჭო, ხოლო ბაქოდან თათრის.

ამიერ-კავკასიის საერთო მთავრობის სახელის მატარებელი მმართველობა არსებითად საქართველოს ბრძანებელი იყო, მისი საგამგებლო ქვეყანა საქართველოა, მიწის დეკრეტსაც და სხვა რეფორმებსაც აქ ინალდებს მთავრობა.... ახლა გვარწმუნებენ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია გააერთიანებს შეურთებელ ამიერ-კავკასიას...

ფედერაციის მოწყობა, დამკვიდრება მეტად ადვილ საქმეთ წარმოუდგენიათ მის მომხრეთ, ჰგონიათ, რომ გუშინდელი ამიერ-კავკასიის—რესპუბლიკა დაირღვა იმიტომ კი არა, რომ მას ტრადიცია, საფუძველი არა ჰქონდა, არამედ იმის გამო, რომ ის ფედერატიულ რესპუბლიკის სახელს არ ატარებდა.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია ეს იმ ხალხის კომბინაციაა, რომელიც ცხოვრების განვითარებას საკუთარ პარტიულ კაბინეტში უპირებს დამწყვდევას. ამიერ-კავკასიის ფედერაცია ჩვენში ცენტრალიზმის შექმნა იქნება, რადგან იგი სხვა და სხვა კულტურის ენის და ტრადიციის ხალხს ერთად შებოჭვას დაუპირებს. ლეკი და ქართველი ფედერატიულად ვერ შეუღლდებიან იმიტომ, რომ ქართველის კულტურის დაწინაურება ბევრად წინ უსწრობს ლეკისას. ქართველი ქალი თათრის ქალს ვერ შეუკავშირდება ფედერატიულად რადგან თათრის ქალი კარჩაკეტილია.

ამიერ-კავკასია ერებით აჭრელებული თაიგულია თითოეული ერი განსაკუთრებულ თავისებურებას ატარებს; მათი ძალით ერთ მუხრუჭში მოქცევა ბოროტებაა...

მიუხედავად ამისა ახლა მომხდარ ფაქტის წინაშე ვდგევართ. ფედარაცია ალსარებულია და მის კონსტიტუციის შემუშავებასაც აპირებენ. ჯერ ხნობით ყველა ერები თითქოს ერთსულოვნობენ, მაგრამ ეს იმის ნიშანია, რომ ერებს ნამდვილად წარმოდგენილი არ აქვთ თუ რას ნიშნავს ფედერაცია, ისინი ჰფიქრობენ რომ ეს რაღაცა ახალი ხილი უთუოდ ტკბილი იქნება. ჩვენ გვგონია ამიერ-კავკასიის საერთო კონსტიტუციის შემუშავებისთვის დროს დაკარგვა უაზრობა და თან დანაშაულია. ამიერ-კავკასიის ფედერაცია უდღეურია და იგი სულ მოკლე ხანში ფიქციად გადიქცევა. ადერბეიჯანი ჩვენის ფიქრით პირველი შეიტანს დისონანს ამიერ-კავკასიის ერთობაში და ეროვნულ სუვერენულ სახელმწიფოს დაიარსებს. შეიძლება სომხები არ გამოვიდენ გაბედულად, რადგან ჯერჯერობით მათ თვით არსებობის საკუთარ ძალით დაცვის იმედი არ აქვთ. ამიერ-კავკასია უჭველად დაიშლება და ეროვნულ თვითმმართველ ერთეულებად ჩამოყალიბდება. მოსალოდნელია, რომ ამ თავის თავად დაშლის პროცესს დიდი გამწვავებანი მოჰყვეს რაც არ იქნება სასურველი. ამიერ-კავკასიის ფედერაცია შეხანხლა გზა აბნეულმა პარტიამ—მენშევიკებისამ, როგორც ვიცით ამ პარტიამ რევოლუციის მსვლელობაში თავისი ყველაფერი დაჰკარგა, ყველა პოზიციები დასთმო. მენშევიკები დამარცხდენ ეროვნულ, და მიწის კითხვაში, მენშევიკებს დაუსამარდათ ცენტრალიზმის იდეა, მმართველობაში ცუდი მესაჭეები გამოდგენ და ახლა წყალწაღებულნი იმ ფედერაციას ებღაუჭებიან რომელსაც ყოველთვის ებრძოდენ. მენშევიკების კრიზისის გამო გამოწვეული სიმწარენი რათ უნდა გაიზიაროს ყველა ერმა? მენშევიკები რუსულ ცენტრალიზმის შემდგომ ამიერკავკასიის ცენტრალიზმის შობას ელიან... ეს გზა ბრუნდეა და დიდ უბედურებამდის მიგვიყვანს, რის მერეც უთუოდ გონს მოვლენ, მაგრამ რას გვიშველის. ამიერკავკასიის ფედერაცია ეს უკანასკნელი კომბინაცია და ჩხირკედლაობაა დოგმატიკოს ხალხისთვის.

ჩვენი გზა ასეთია: ტერიტორიულ ერთა დამოუკიდებელ სახელმწიფოების შექმნა და მათ შორის სახელმწიფურ კავშირის დამყარება. საქართველოს დამოუკიდებლობა მისი სუვერენულ უფლებებით აღჭურვა მომენტის გვერდაუვლელი კითხვაა და ვინც დღეს მას უარჰყოფს ის საქართველოს მტერია.

ი. იმერელი.

## გველების სისინი.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობამ თავები წამოაყოფინა დაქცეულ რუსეთის ცოცხალ გვამებს—შავ არსებათ.

გველურად ასისინდენ, რუსულ შავრაზმულ ცრემლით ატირდენ... დესპოტიზმის ნაშთები აქვითინდენ და გვეუბნებიან: „როგორ გაბედეთ და ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადეთ ბოლშევიკები თქვენს დასჯას ახალა მეტის ენერგიით შეცდებიანო“. აქ დარჩენილი რუსები ეს ჟანდარმერიის განსახიერება გვირჩევს, რომ ჩვენ ისევ იმ რუსეთთან ვიყოთ, რომელიც გაველურდა გაბარბაროსდა მიგვატოვა და შემდეგ ჩვენ ოსმალეთს მიგვყიდა. რუსები გვაძახიან ბოლშევიკებს დაემორჩილეთო... ჩვენ დამოუკიდებლობის შექმნით გაგვიადვილდება ზავის ჩამოგდება და შინაურ ანარქიის მოსპობა, რუსები კი ამაში ხელს გვიშლიან... რუსების მიზანი ერთად ერთია. ისინი ჩვენში ძველ საბატონო პრივილეგიების დაბრუნებას სცდილობენ, რუსთა პარპაშობის აღდგენას აპირებენ... რუსი სოციალისტები, კადეტები და ყველა წულის ბოქაული მეხარკე ჟანდარმები შეხმატკბილებულან და ამიერკავკასიის დამოუკიდებელ მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებენ... ესერების „ზნამიატრუდა“ საბჭოების მთავრობას მოითხოვს რუსის გაველურებულ ბოლშევიკებს ეპატიჟება... ღალატი მომხდარი ფაქტია... რუსობა ამიერ კავკასიის ერთა მტრის როლში გამოდის... თურმე რუსებს გულში ბოლშევიკების მოსვლა ელდებათ... ამიერ კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობა ვალდებულია დროზე აღკვეთოს მოღალატენი და მათი შხამის ნთხევის საშუალება მოუსპოს. ამისთვის სხვათა შორის საჭიროა ამიერ კავკასიის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რუსთა შეიარაღებას. რუსებს თუ კი იგინი აქ დანარჩენას ინებებენ ექნებათ ეროვნულ კულტურული ავტონომია, როგორც უტერიტორიო და უმცირეს ეროვნებას...

მეტი სიფრთხილე და სიფხიზლე რუსულ საფრთხესთან...

ახალი.

## ბულგარეთი.

ბულგარეთმა თავისუფალი სახელმწიფური ცხოვრება ეკლესიის დამოუკიდებლობით დაიწყო. შემდეგ ბულგარეთი შეიქმნა ვასალური. ბულგარეთს რუსეთისკენ ეჭირა თვალი და მის სრულ დამოუკიდებლობის მომპოვებელიც რუსეთი იყო. ახალი სახელმწიფო საშინელ ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, ბულგარეთს არ ჰყავდა აგრეთვე გამოცდილი, დახელოვნებული სახელმწიფო მოღვაწეები. დიდათ საინტერესოა ბულგარეთის ისტორია 1912 წლიდან.

მეორე ბალკანეთის ომში ბულგარეთი დამარცხდა. რუმინეთმა უომრად წაართვა ბულგარეთის ერს დობრუჯა და დედა ქალაქ სოფიაშიც შეიჭრა. ბულგარეთი, რომელიც საარაკო სიმამაცით იბრძოდა ბალკანეთის პირველ ომში, მერე ისე გალახეს, რომ საკუთარ მიწაწყალზეც კი ხელი აალებინეს. უსაზღვრო იყო ბოლმა ბულგარეთის ხალხისა, მას დასცინოდენ ბერძნები, სერბები და მთაშავლები, რომელთაც დაიყვეს ომის ნადავლი... გასაკვირლად მოიქცა ამ დროს ბულგარეთის მთავრობა. მეფე ფერდინანდმა ბრძანება გასცა სახლში შემოჭრილ მტრისთვის ერთი თოფიც არ ესროლათ, ისინი მიეღოთ, როგორც

## სოციალისტური თუ ეროვნული მთავრობა.

დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნების სოციალისტები პრინციპიალურათ წინააღმდეგი არიან მიიღონ მონაწილეობა „ბურჟუაზიულ“ მთავრობაში, რადგან მათი მამა მთავრის კარლ მარქსის შეხედულებით თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოების მთავრობა არის კომიტეტი, რომელიც მხოლოთ ბურჟუაზიული საზოგადოების ინტერესების მცველი და ერთგული მოსამსახურეა. მხოლოთ თავის კლასის, პროლეტარიატის, დიკტატურის დროს ჩაუდგებიან ისინი ცხოვრებას სათავეში და შეეცდებიან, სოციალისტური პრინციპების თანახმათ, გარდაქმნან თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება. და ახალი სოციალური ურთიერთობა დაამყარონ. მანამ კი ისინი ათვითცნობიერებენ მუშა ხალხს და ამზადებენ მას სოციალისტური ტრანსფორმაციის მოსახდენათ. ცნობილია, რომ რუსეთის რევოლუციას, პირველ პერიოდში ქართველი სოციალისტები უწევდენ ხელმძღვანელობას. ისინი ეკუთვნოდენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის იმ ფრაქციას, რომელმაც დღევანდელ რევოლუციას უმთავრესათ პოლიტიკური ცვლილების მოხდენა დაუსახა მიზნათ. ამ მიმართულების თანახმათ რუსეთი ჯერ, როგორც ეკონომიურათ და პოლიტიკურათ მეტათ ჩამორჩენილი ქვეყანა, არ არის მზათ დიდი სოციალური რეფორმებისათვის: არც ობიექტიური და არც სუბიექტიური პირობები ამას არ უწყობენ ხელს.

ამიტომ გადაყენებულ მთავრობის მოადგილე უნდა გახდეს დასახულ პოლიტიკურ მიზნების განხორციელებით დაინტერესებული ყველა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელნი. თავში მართლაც ასე იყო, მაგრამ შემდეგ რევოლუციის მსვლელობამ ქვეყნის მართვა-გამგეობა ხელში ჩაუგდო მაქსიმილისტურ მიმართულებას, რამაც გამოიწვია რევოლუციის ქართველ ბელადების კავკასიაში გადმოხიზვნა და აქ რევოლუციონური მუშაობის გაგრძობა.

დღეს-დღეობით მთელი ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობას ქართველი სოციალ-დემოკრატები უდგიან სათავეში და შეუწყვეტლივ ახდენდენ და ახდენენ ნაირ-ნაირ სოციალ-ეკონომიურ ექსპერიმენტებს, რომელიც თუ დროზე არ იქმა შეჩერებული აუცილებლათ დაღუპის კარამდე მიიყვანე მხოლებს.

ჩვენი მთავარი ყურადღება ჩვენი ბედშავ ქვეყნისაკენ არის მიმართული, რომელიც სოციალისტურ მმართველობის წყალობით იმდენათ დაქვეითებულა და წამხდარა, რომ თავის ფიზიკური არსებობის დაცვის უნარიც დაკარგვია და ძალზე სუსტ მტრისაგან ძლეულს, თავს დამცირებად როდილა მიაჩნია თავის სახელოვან წინაპართა სისხლიან ხმლით შემოვლებულ საზღვრების დატოვება და ლარულათ უკან დახევა. ამის მიზეზათ ჩვენი უსანასკნელი თაობის სოციალისტური აღზრდა უნდა ჩაითვალოს პრიმიტიული ეკონომიკის და კულტურის ხალხში სოციალიზმის ფეხის. მოკიდება მის ჩამორჩენილების ლაზ-აბნეულობის უტყუარი ნიშანია.

დედა-მიწის ზურგზე, საქართველოს გარდა, არ არის ქვეყანა, სადაც დიდი და პატარა, ერი და ბერი, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უსწავლი, ყველა უტოპიურ მოძღვრებას მისდევდეს, მითი სულდგმულობდეს და ხარობდეს.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ საქართველოში გაბატონებული სოციალისტური აზროვნება კარგს არას უქადის მრავალ ტანჯულ ქვეყანას;

საქართველოს მესვეურნი დღეს სოციალისტები არიან. მათ განიზრახეს ქვეყნის მართვა, ერის წინამძღოლობა და ხალხის ხსნა ნივთიერ გაჭირვებისაგან, მაგრამ მათი მოქმედება ჯერჯერობით სულ წინააღმდეგ რეზულტატს იძლევა. ამის ახსნა არ შეიძლება მარტო იმით, რომ სოციალისტებს გამოცდილი და მცოდნე პირები არ ყავდესთ. ეს მათი პრინციპების ბრალია, მათ ძირითადი შეხედულებიდან გამომდინარე პრაქტიკულ პოლიტიკის მეოხებით დება.

სოციალისტური მთავრობა კლასიური მთავრობაა. მისი თვალთახედვა კლასიური თვალთახედვაა. მისი მიზანია,—საზოგადოების ერთი ჯგუფის, ერთი ნაწილის ინტერესების დაცვა. მას არ ძალ-უძს თავის ბუნებას წინააღუდგეს და მთელი ერის, მთელი საზოგადოების ინტერესებამდე ამაღლდეს და ამ საერთო, საზოგადო ინტერესებისათვის იღვწოდეს. ის საზოგადოების გამთიშავ ძალებს ეყრდნობა, ამ საზოგადოების შემადგენელ სხვადასხვა კლასთა შორის არსებულ ბრძოლის ნიადაგზე სდგას.

სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენში დაკარგულია მთლიანი საზოგადოებრივი აზრი, არავითარი მნიშვნელობა არ ეძლევა საერთო ძახილს საეროვნო ყივილს.

აკი ამ უმაგალითო გაჭირვების ხანაში ჩვენმა სოციალისტებმა ვერ შესძლეს ქვეყნის გაძღოლა და განსაცდელის თავიდან აცდენა. ამისთვის საჭირო იყო ვიწრო, სექტანტური თვალთახედვის უარყოფა, კლასთა ბრძოლის პრინციპის მივიწყება და საზოგადოების სხვადასხვა ნაწილების შემაერთებელი ძალის გამონახვა. ეს ვერ შეძლო სოციალისტურმა მთავრობამ, მაგრამ ამას შესძლებს ეროვნული მთავრობა, რომელიც რომელსამე, განსაზღვრულ საზოგადოებრივ ჯგუფს არ დაეყრდნობა, არამედ ყველა, ერის შემადგენელ სოციალურ კატეგორიების კლასიურ ინტერესებს ერის უზენაეს ინტერეს დაუქვემდებარებს.

ალ. თორაძე.

## დამოუკიდებელი საქართველო

1

ამბობენ: ისტორია არა მეორდებაო, მაგრამ თუ შევუდარებთ დღევანდელს დღეს იმ მდგომარეობას, რომელშიაც იყო საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, ბევრ საერთო მოვლენას დავინახავთ.

მაშინაც სამი პარტია იბრძოდა. ერთი პარტია ბატონიშვილის დავითისა, მეორე პარტია ბატონიშვილის იულონისა და მესამე პარტია—პარტია რუსებისმოყვარულთა. ხალხი, გლეხობა—კი,—განზე იყო გამდგარი და ხმაამოუღებლივ უცდიდა უკეთესს მომავალს. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ამ პარტიებისა დაამსხვრია რუსეთის ცბიერებამ და ყველანი პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩენ. რუსეთის მთავრობას დიდიხანია გადაწყვეტილი ჰქონდა მოესპო საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი ქვეყანა თავის ყურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრები და საჩქაროდ ზავი ჩამოეგდოთ... ბევრი გააოცა ამ ამბავმა, მაგრამ ის მეტად მიზან შეწონილი და შორს მჭვრეტელური გამოდგა. სისხლიდან დაცლილ ბულგარეთს იმ ჟამად ომის წარმოება არ შეეძლო, მოსვენებული რუმინეთი კი მთლად წაახდენდა ბულგარეთს, რომ ზავი არ შეეკრათ. გავიდა დრო, ბულგარეთმა მოისვენა, სული მოითქვა, ძალები მოიკრიბა, მტერი და მოყვარე მიზანში ამოიღო.

საერთაშორისო ომში დიდმა სახელმწიფოებმა შეუთვალეს ბულგარეთს ჩვენს კოალიციაში შემოდიო. ბულგრეთის ერისთვის არჩევანი წარმოსდგა, თუ რომელ მხარეს უნდა მიმხრობდა იგი. რუსეთს სწამდა, რომ ბულგრეთი, როგორც მონათესავე და რუსეთის მიერ მონობისგან დახსნილი სახელმწიფო რუსეთს ამოუდგებოდა გვერდში... მოსტყუვდენ...

ბულგრეთი ძველი ტრადიციებით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ ახალ ძალთა განწყობილებას და საერთაშორისო პირობებს უწევდა პირდაპირ ანგარიშს. ბულგარეთი გერმანეთ-ოსმალეთის კავშირში შევიდა... რუსეთში განგაში ასტეხეს, ზურგიდან მახვილი ჩაგვცა მოღალატე ბულგარეთმაო და თან ქვეყანა არწმუნეს, რომ იგი რამდენიმე ხნის განმავლობაში მიწასთან იქნებოდა გასწორებული.

ჩვენთვის ცნობილია, რომ დიდი სახელმწიფოები მცირე ერებისთვის მგლები არიან. ისინი პატარა ერებს იმდენათ მფარველობენ, იცავენ, რამდენად ამას მათი ინტერესი მოითხოვს. ამ შემთხვევაში ყოველი ერი რადგან ეს აუცილებელი ხდება ისეთ სახელმწიფოს უნდა ეფარებოდეს, რომელიც მართლაც ძლიერია და ძალუძს ერის დაცვა.

საერთაშორისო ომი ჩაგრულ ერების განმათავისუფლებელიც იყო და მათი დამღუპავიც. ამ ომში მიწასთან იქმნა გასწორებული მშვენიერი ბელგეთი, სერბეთი, რუმინეთი, და მთაშავეთი.

ჩამოთვლილი განადგურებული ერები მიემხრნენ ინგლის-რუსეთ-საფრანგეთის კოალიციას, - რომელი კოალიციაც ჯერჯერობით დამარცხებულია. დამარცხებულთა გვერდში კი ყველაზე საშინელი პატარა ერებთა ბედი შეიქმნა. მათი არსებობა მოისპო. სულ სხვაა ბულგრეთის ბედი. მისი ვარსკვლავი ბალკანეთზე ამაყად გამოიყურება და თუ ბალკანეთზე იქმნა ძლიერი სახელმწიფო ეს უთუოდ ბულგარეთი იქნება. დღეს ბულგარეთმა უომრად დაიბრუნა 1912 წ. დაკარგული ტერიტორია,

მკითხველმა თვითონ განსაჯოს რომელი გზა სჯობია ბულგარეთისთვის, რომ ძველი ტრადიციების მიხედვით რუსეთს მიკედლებოდა და მით სერბეთ-მთაშავეთ-რუმინეთ-ბელგეთის ბედი ერგუნა თუ გერმანეთის კავშირში შესვლით თავიც გადაერჩინა და ძლიერებაც მოეპოებია.

ირო.

# ოსმალეთის მთავრობის მილოცვა.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ ოსმალეთის მთავრობისაგან ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო მიიღო მისალოცი დეპეში. ამასთანევე მთავრობამ ის ცნობაც მიიღო ოსმალეთისაგან, რომ ოსმალეთის მთავრობა საზავო მოლაპარაკების განახლების მოლოდინში იმყოფება და ამისთვის შესწყვიტა ამიერ-კავკასიასთან საომარი მოქმედება.

# ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**ბაქოდან.** სასიხარულო ამბავი მოვიდა, მაღალაშვილის ჯარს ბოლშევიკები სასტიკად დაუმარცხებია და გაუდევნია.

✦ **სამეგრელოდან.** გვატყობინებენ, რომ „ბოლშევიკური მოძრაობა" მთავრობამ მოსპო.

✦ **სოხუმში.** ბოლშევიკების გასადევნად ჯარი გაიგზავნა.

✦ **გაზეთის ფონდი.** ბ-ნმა პიპინია მიქელაძემ „ჩვენი ქვეყნის" ფონდისთვის შემოსწირა ცხრა თუმანი.

✦ **კრება.** კვირას 15 აპრილს დილისით 11 საათზე ქალაქის თეატრში დანიშნულია საზოგადო კრება სახელმწიფო და საზოგადოებათა დაწესებულებების ქართველ მოსამსახურეთა. მიზანი კრებისა — პოლიტიკური მომენტი.

კრების მოწვევის აღმასრულებელი ბიურო სთხოვს ყველა მოსამსახურე ამხანაგებს, განურჩევლათ სქესისა და პოლიტიკური რწმენისა და მიმართულებისა, როგორც ქალაქ ქუთაისში მყოფთ, აგრეთვე პროვინციებიდან, უთუოდ დაესწრონ ამ კრებას.

კრებას დაესწრებიან. თბილისიდგან ქართველ მოსამსახურეთა კავშირის მიერ დანიშნული წარმომადგენლები.

✦ **სომხის დაშნაკცუტიუნთა** პარტია მთავრობის შემადგენლობაში სამის ნაცვლად მოითხოვს 4 ადგილს. მოითხოვენ აგრეთვე რომ სომხის ერთ მინისტრს ჩააბარონ პორტფელი გზათა მიმოსვლისა და გარეშე საქმეთა.

✦ გაზეთის ფონდისთვის ბ-მა კონსტანტინე გოცირიძემ შემოიტანა 40 მანეთი, რისთვისაც რედაქცია ულრმეს მადლობას უძღვნის.

✦ **კიდევ ქურდობა.** გასტეხეს ზვიადაძის ტყავეულების მაღაზია, საიდანაც წაიღეს დიდძალი ტყავი.

✦ **თეთრეულება.** დაუჭირეს ერთ უცნობს, უცნობი მიიმალა, თეთრეულება მილიციაში ინახება.

✦ **მარო ქუთათელაძე** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ პუშკინის ქუჩაზე მან დაჰკარგა ოქროს საათი, სთხოვს საათი მოიტანოს სახალხო მილიციაში რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

✦ **29 აპრილს** მოხდება ქუთ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კრება.

✦ **კონტრიბუცია.** სოფ. ბოსლევისთვის (ზემო იმერეთი) დეზერტირთა და ბოლშევიკთა ბრბოს კონტრიბუცია შეუწერია. ზესტაფონიდან ბოსლევში რაზმი გაიგზავნა.

✦ **დანიშვნა** ქუთ. გუბ. საექიმო სანიტარულ ნაწილების უფროსად დაინიშნა ექიმი ივანე ლორთქიფანიძე.

✦ **მობილიზაცია ქართლში.** გორიდან სამხედრო საკრებულოს თავმჯდომარემ მთავრობას შეატყობინა, აპრილის 8-ს მობილიზაცია განახლდა და კარგად მიდის.

✦ **საგუბ. სასურს. კომიტეტის** თავმჯდომარემ ალ. ჯაფარიძემ სამსახურს თავი დაანება. მის მოვალეობას ასრულებს ლ. გრიგოლია.

✦ **საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა** დაადგინა, რომ ნება მისცეს ყველას გუბერნიის სამზღვრებში გადაზიდოს სიმინდი და სიმინდის ფქვილი საგ. სასურსათო გამგეობის ნებართვით 10 ფუთამდის. ნებადართულია აგრეთვე სიმინდის თავისუფალი ვაჭრობა.

✦ **შიმშილობა.** ოკრიბიდან გვატყობინებენ, რომ იქ დიდი შიმშილობაა. სიმინდი ფუთი 35 მანეთად იყიდება.

✦ **სესხი.** ლანჩხუთის ქალაქის თვით მართველობამ შუამდგომლობა აღძრა მიეცეს მას სურსათის მოსაწყობათ 60,000 მანეთიანი უსარგებლო სესხი და ერთდროულ დახმარებათ 100 ათასი მანეთი.

✦ 8 აპრილს ნატანებსა და რიონის შუა დავკარგე საფულე რომელშიაც იყო 400 მანეთამდე ფული, ოზურგეთის ხაზინის „პერევოდნი" ბილეთი, რომელით უნდა მიეღო ჭიათურის ხაზინიდან 200 მ.

# ტირილი ტრიოლეტებით.

### (ლილის ალბომისთვის).

ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს
და მაისის მზიან ქორწილს არ ველი.
მწუხარება მოდა, მიმზანაკებს...
ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს.
ეტირება გული ლექსებზე დანაგებს, —
მითხარ ლილი: ვინა მექნეს მფარველი?
ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს
და მაისის მზიან ქორწილს არ ველი.

—

ვინ ესტუმროს კოშკს ბადახშით ანაგებს?
ვინ მამღეროს თმის წაბლის ფერ ფოთლებში?
ბრილიანტით ვსეტყვავ თვალთა დანაკებს...
ვინ ესტუმროს კოშკს ბადახშით ანაგებს?
ჩემ ოცნებას დაღლილობა განაგებს.
აღარ რჩება ღვინო თასებ-ბოთლებში.
ვინ ესტუმროს კოშკს ბადახშით ანაგებს?
ვინ მამღეროს თმის წაბლისფერ ფოთლებში?

—

არ ვზეპირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს, —
ჩამქრალია ტრფიალების სანთლები.
ბრილიანტით ვსეტყვავ თვალთა დანაკებს,
არ ვზეპირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს·
მითხარ ლილი: დავიბრუნებ წანაგებს
თუ გადავსცე სხვას ბედის კამათლები?
არ ვზეპირობ ლექს ბრწყინვალეს და ნაქებს...
ჩამქრალია ტრფიალების სანთლები.

ვ. მეგრელიშვილი.

---

მოჰრილ მონად გეხადნა და, აი 1801 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში ოფიციალურად გამოაცხადეს საქართველოს მეფობის მოსპობა. ამ ამბავმა თბილისში 1802 წელს მოაღწია. ამავე წლის რვა მაისს გენერალმა კნორინგმა მიიპატიჟა თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და მოქალაქენი, მერე შემოარტყა მათ ჯარი და ძალად მიაღებინა ფიცი რუსეთის ერთგულებაზე....

დღესაც სამი უმთავრესი პარტიაა ბრძოლაში ჩაბმული: პარტია რუსეთის სოციალ-დემოკრატებისა, პარტია მოციალისტე ფედერალისტებისა და პარტია ეროვნულ-დემოკრატებისა და იმ დროს, როცა ჩვენ აქ ერთმანეთს ვჭამდით, იქ, რუსეთის ურასოციალისტ ლენინის მთავრობამ უღალატა ჩვენებურ ურა-სოციალისტურ პარტიას — ამ ხორცსა ხორცისაგანს და სისხლსა სისხლისაგან თვისსა — და საქართველოს საუკეთესო ოლქები ოსმალეთს გაუბოძა...

დღესაც ძალად გვაფიცებენ სხვის ერთგულებაზე.

დღესაც გლეხობა ქართველი ხალხი, არსებითად არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის — და ჩვენი პარტიული კინკლაობის მეოხებით ისეთს ხაფანგში გავაბით რომ ხალხი იგი მარტო თავისით თუ გამოერკვევა!..

საქართველოს საუკეთესო შვილებმა იცოდენ, რომ ცხოვრება არც ლენინ — პლეხანოვის ყმაა და არც ჩვენებურ შინაჯუჯა სოციალისტების მადა და ამიტომ, შეძლებისა დაგვარად, სცდილობდენ დაეყენებინათ ჩვენი ხალხი მშობლიურ ნიადაგზე, მაგრამ მათი ხმა და გულისტკივილი დაჰფარა და გადასთელა მშვენიერმა ოცნებამ „მთელი ქვეყნის პროლეტარების შეერთებაზე" და ამ ოცნებამ ისე გამოჰფიტა თვითარსი, გრძნობა და გონება ქართველობისა, რომ ხუთას-ექვსას კაცს სამარცხვინოდ ჩააბარა საუკეთესო (ციხესიმაგრე, თვალი და ყური საქართველოისა-ბათომი...

დიაღ! ჩვენ დიდი ისტორიული სირცხვილი ვჭამეთ და კიდევ ბევრი უბედურება და სირცხვილი მოგველის, ვიდრე ძირიანბუდიანად არ ამოიფხვრება ჩვენში რუსული სულიც-კი და ქართველობა არ დარწმუნდება, რომ თავისი ბედის გამომჭედი თვითონვა, რომ სხვის ხელის შემყურე ადამიანი ან მონაა და ან მატყუარა, მცონარა, მეოცნებე. ასეთს ადამიანს კი ანგარიშს არავინ უწევს და თუ მოიხელთეს, ლაზათიანადაც წაუთაქებენ ხოლმე კისროში!..

ჩვენც ასე დაგვემართა!... იმ დროს, როცა ჩვენის პარტიულის გატაცებითა და პატივმოყვარეობით დავწეწეთ, დავფუშეთ, დავანგრიეთ ჭეშმარიტი ერთობა ქართველის ერისა, იმ დროს როცა დავიწყებას მივეცით საქართველოს თვითარსებობისა და თვითმოქმედების იდეა, იმ დროს, როცა „მამულიშვილობა სასაცილოდ გახდა ჩვენ ში" და მთელი ქვეყნის ხსნასა და შველას ვეპოტინებოდით, იმ დროს, როცა ისტორიულად მართლაცრო გადემოკრატებული საქართველო, — საქართველო ვერაგობით დამონებული რუსეთისაგან, საქართველო ლეჩაქ მოხდილი და გაბინძურებული თვითმპყრობელის ტურა — მელებისაგან, საქართველო შეურაცხყოფილი და შეგინებული თავადიდან უბრალო მწყემსამდე — რუსული სოციალიზმისა და ევროპიულ "კლასთა ბრძოლის" ასპარეზად გადავაქციეთ და ძმა — მონა, საპყარი და კიდობან-ცარიელი ძმა ასეთსავე ძმას მივუსიეთ, იმ დროს, როცა ცოდნა და სწავლა, გრძნობა და ჭირნახულობა, აზრი და ფიქრი ვიწრო პარტიულ, ჯგუფურ შენჩემობად შევცვალეთ, — იმ დროს მეთქი, ცხოვრება თურმე ისეთს მუჯლუგუნს გვიმზადებდა, რომელმაც ერთის მოქნევით გამოაშკარავა ჩვენი უპადრუკობა, სიბეცე და სივაგლახე!..

დაინგრა ილუზიები, გაცამტვერდა ოცნებანი, გაფრინდენ შეუფერებელ აუსრულებელი პოლიტიკურ — სოციალური ოფოფები და დღეს დედაბერი-საქართველო ისევ თავის გატეხილ და დამსხვრეულ გობის წინა ზის!...

ვიქნებოდით თუ არა ასეთს უმწეო მდგომარეობაში იმ თავითვე რომ გაგვევრცელებინა ხალხში ანდერძი მამა -პაპათა, და უტყუარი სწავლა ძმობა — ერთობაზე, კლასთა თანამშრომლობაზე, ვაჟკაცობაზე, მოვალეობაზე, შრომასა და გარჯაზე, თვითმოქმედებასა და თვით აზროვნებაზე?

მე ვამტკიცებ, რომ არ ვიქნებოდით... მე ვამტკიცებ, რომ თავისთავის მცოდნე, მომაგე, ფხიზელი და მშრომელი ერი თავის დღეში არ დამცირდება, არ დაოხრდება იმ ზომამდე სადამდისაც ჩვენ მივაღწიეთ!....

ან კი რა ხეირი დაეყრებოდა, თუ, ღმერთი გწამთ იმისთანა ერს, რომლის, მაგალითად, საუკეთესო, მცოდნე, გამოცდილი, უგონიერესი და უჭკვიანესი შვილიც იძულებულია მიყრუებულ სოფელში იჯდეს და, ვსთქვათ, მეფურნე, ან მედროგე კი — თავის ცოდნითა და სწავლით — კანონმდებლობდეს?

რა ხეირი ექნება იმ ერს, რომლის მოზარდმაც არ იცის: რა არის სამშობლო, ერი, ხალხი, რა მოვალეობა აწევს თითოეულ ადამიანს და ამავე დროს კი მთელი ქვეყნის გაბედნიერებაზე თცნებობს?

რა მოეთხოვება მეტი ისეთ ერს, რომლის მუშა, თუ ხელოსანი, ნასწავლი თუ უსწავლელი, დიასეული, თუ უდიერსი სულ „მომეცი, მომეცის" გაიძახის და არ კი ჰფიქრობს, საიდან რა უნდა მისცენ?

რას გააკეთებს კარგს და საშვილიშვილოს ის ერი, რომლის წევრნიც თავისი უვიცობისა, უაღრესი მოთავისობისა (ეგოისტობისა) და უმეცრებისა გამო ჭადს არ წაუტეხენ თავის მეზობელს და სოციალიზმს კი აღმერთებენ??

რას მოიმოქმედებს ისეთი ერი სახეიროსა და სათაყვანოს, რომლის წევრებიც ხსვის ხელფეხად გადაქცეულან და სხვის თავითა და გულით ჰფიქრობენ და გრძნობენ?.. მაგრამ მადლი უფალს!.. თვით ცხოვრების აზრმა და ლოღიკამ საქართველო გამოიყვანა თავდავიწყებიდან!! იგი შესდგა გათავისუფლების გზაზე და ამაიერიდან უნდა გათავისუფლდეს კიდეც ყოველ გვარ სიგლახისგან.

გაუმარჯოს თავისუფალსა და დამოუკიდებელ საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ ერს, რომელმაც უნდა მოაწყოს თავისი საკუთარი, ქართველური ცხოვრება!...

ია ეკალაძე.

და სხვა საბუთები. მნახველს ვსთხოვ ფული თვითონ დაიტოვოს, ხოლო დანარჩენი გამომიგზავნოს ჭიათურაში (საავათმყოფო), ერმილე გიორგის ძე თაყაიშვილი.

ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ უკვე მიიღო ამ წლის იანვრის „ნაკადული“ №1 მცირე წლოვანთათვის, ხელის მომწერლებს შეუძლიათ ჩაეწერონ კანტორაში და აქედან მიიღონ ორთავე საბავშო ჟურნალი „ნაკადული“ და „ჯეჯილი“. პირველი ღირს 12 მ, მეორე კი 20 მ. წლით.

✦ **ქალაქის ხარჯთაღრიცხვა.** სხვა და სხვა გაწერილი გადასახადების ცხოვრებაში გაუტარებლობის გამო ჯერ არ შეუდგენიათ.

## ი. კაჩუხაშვილი და მთავრობა

ქუთაისის გუბერნიის კომისარმა ი. კაჩუხაშვილმა გარეშე საქმეთა მინისტრს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„ყველა ლტოლვილები შემოხიზნებულნი არიან ქ. ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიაში. მცხოვრებლები მათ კარგად ეპყრობიან.

მხარის ინტერესების დასაცავად მე წინადადება მივეცი ზოგიერთ პირებს, რომ გუბერნიის სამზღვრები დაეტოვებინათ. ამ ზომებს გვიკარნახებს მომენტის მდომარეობა. თუ **ჩემი დადგენილება განქარწყლებულ იქმნება იმ შემთხვევაში, — ჩემს მოვალეობას თავს დავანებებ“**

ამის შესახებ ამიერ-კავკასიის მთავრობამ ქუთაისის გუბერნიის კომისარს ი. კაჩუხაშვილს ასეთი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა: „კატეგორიულად გაძლევ წინადადებას რომ ბათუმის ოლქიდან გადმოხვეწილ ქართველ მუსულმანებს გაუწიოთ ყოველგვარი დახმარება. ამ დირექტივების შეუსრულებლება ყოვლად შეუძლებელია“.

## უცხო სახელმწიფოებს.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ გარეშე საქმეთა მინისტრმა ა. ჩხენკელმა 10 აპრილს თბილისიდან შემდეგ სახელმწიფოებში (გარეშე საქმეთა მინისტრებს) გაუგზავნა დეპეში: ბერლინში (გერმანეთს), სტამბოლში (ოსმალეთს), პეტერბურგში (ველიკორუსეთს), ლონდონში (ინგლისს), პარიზში (საფრანგეთს), ვენაში (ავსტრო-ჰუნგრეთს), რომში (იტალიეთს), ვაშინგტონში (შეერთებულ შტატებს), ტოკიოში (იაპონიას), სოფიაში (ბულგარეთს), მადრიდში (ესპანეთს), კიევში (უკრაინას), თეირანში (სპარსეთს), ჰააგაში (ჰოლლანდიას) სტოკჰოლმში (შვეციას), ქრისტიანიაში, (დანიას), კოპენჰაგენში (ნორვეგიას), დეპეშის შინაარსი ასეთია:“ აპრილის 22 ახ. სტილ. სხდომაზე ამიერ-კავკასიის სეიმმა დაადგინა გამოაცხადოს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიულ-ფედერატიული რესპუბლიკა. ამას ვაუწყებ თქვენს კეთილშობილებას, რათა აცნობოთ თქვენს მთავრობას“.

გარეშე საქმეთა მინისტრი.

ა. **ჩხენკელი.**

## საქართველოს დამოუკიდებლობა.

ცნობილია, რომ რუსეთი რევოლუციას მოუმზადებლად შეხვდა. რუსეთის ბნელი მასა რევოლიუციიდან რაღაც ზერევოლიუციონურს მოელოდა, და როცა პირველმა უკანასკნელი ვერ მისცა ბნელ მასას, ხალხი ბოლშევიკების პარტიას გაჰყვა, რითაც ის ქირაფ სონებათა და სურვილთა მყისვე განაღდებას ელოდა. ინტელიგენციას რომელიც რევოლიუციას რევოლუციად იხმარდა განადგურება დაუპირეს. ამ უკანასკნელი ლტოლვილების ძსხვერპლი შეიქნენ რუსეთის ტვინი, შინგარიევი და კოკოშკინი.

ისტორიული აუცილებლობის იყო თუ კლასთა ბრძოლით, განადგურდა და დაემხო ვეებერთელა რუსეთი. იარაღით და მახვილით მოგროვებული ნაწილები მას გამოეყო. საქართველო მაშინაც კი შეადგენდა რუსეთის ნაწილს, როცა ეს რუსეთი აღარ არსებობდა. ქართველი ესდეკების მეთაურობით აქედან სცდილობდენ რუსეთის „დემოკრატიული ფრონტის“ აღდგენას, და როცა შეგნებული ნაწილი ამის შეუძლებლობას აღნიშნავდენ, მას კონტრ-რევოლუციონერებად აცხადებდენ, და საფრანგეთის დემოკრატიის მაგალითზედ უთითებდენ დღეს მთავრობის პარტიამ საბოლოოდ დაჰკარგა ამ ფრონტის აღდგენის იმედი, და რუსეთიდან მხოლოდ დღეს გამოჰყო ამიერ კავკასია. ამიერ კავკასიის გამოყოფა, პირველი ნაბიჯია. ამით ქართველი ერი ვერ დაკმაყოფილდება ეროვნული, ტერიტორიულ და ეკონომიური ინტერესთა სხვა და სხვაობა შეუძლებელს ჰყოფს ფედერაციას. მალე მოხდება გოდოლის აშენებელთავით ენის აზნევა დამრთელებ: საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დროზე უნდა მოუაროს ქართველ ერს, უნდა გამოყოს ამიერ კავკასიიდან საქართველო, და ეროვნული მთავრობა საჩქაროთ უნდა შედგეს. ჩვენმა მთავრობამ ცენტრალიზმიდან კუს ნაბიჯები გადადგა, ეს არის ნაბიჯი ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობისა, ეხლა მხოლოდ შემდეგი ნაბიჯია საჭირო, ნაბიჯი ერთა სპარაციისა, რასაც ცხოვრების სინამდვილე და ისტორიული აუცილებლობა მალე კარზედ მოგვაყენებს. ვისწრაფოთ საქართველოს სრულ დამოუკიდებლობისაკენ...

გაუმარჯოს საქართველოს ეროვნულ მთავრობას.

ნიკ. აბესაძე.

## ახალი მთავრობის კრიზისი.

სომხურ პარტიის დაშნაკცუტიუნის წარმომადგენლებმა, ხატისიანცმა, კაჩაზნუნმა და საჰაკიანცმა, რომელნიც ჩხენკელის მიერ შედგენილ მთავრობაში შედიოდნენ, უარი განაცხადეს მთავრობაში შესვლაზე.

## განმარტება საადგილ-მამულო რეფორმის შესახებ.

მიწად მოქმედების სამინისტრომ ყველა საადგილ-მამულო კომიტეტებს დაუგზავნა განმარტება საადგილ-მამულო რეფორმის ცხოვრებაში განსახორციელებლად- ერთნაირი სახელმძღვანელო. საადგილ-მამულო კომიტეტებს, მიწების ჩამბარებელ კომისიებს და სამინისტროს რწმუნებულებს შემდეგი განკარგულება მიეცათ.

1) არ ჩამოერთმევათ და საადგილ მამულო კომიტეტებს არ გადაეცემათ შემდეგი მამულები: —

ა) ის საძოვარი ადგილები რომელიც ეკუთვნით ქალაქებს და იმყოფება ქალაქის მოხაზულს გამო (Въ чертѣ города)

ბ) მიწები რომელიც ეკუთვნის საზოგადოებრივ სასარგებლო დაწესებულებებს (მაგალითად მცირე წლოვან დამნაშავეთა კოლონიასა, ფსიხიატრიულ კოლონიას) სასწავლებლებს, კულტურულ-განმანათლებელ და სხვა საზოგადო დაწესებულებებს, თუ ისინი თავისით დაქირავებული ძალით თავისი საჭიროებისათვის ამუშავებენ და იჯარით არ სცემენ.

2) წესდება, რომ მემამულეს დაუტოვონ განსაზღვრული ნორმა მიწისა ეკლესიებსა და მონასტრებს არ შეეხება, და ამ უკანასკნელთ მიწები უნდა ჩამოერთვას სრულიად, ხოლო ადგილობრივ საადგილ მამულო კომიტეტებს შეუძლიათ მიუზომონ მონასტრებსა და ეკლესიებს მიწები განსაზღვრულ პირობებში, თუ მონასტირებს და ეკლესიებს უნდათ აწარმოვონ საკუთარი მეურნეობა.

3) უფლება იმის შესახებ რომ მემამულეს ნორმაზე მეტი ადგილი დარჩეს, რაც ნაჩვენებია 1918 წლის 7 მარტის კანონის მეორე მუხლის 1 შენიშვნაში, ეკუთვნის საგუბერნიო საადგილ მამულო კომიტეტებს. მუშაობის დასაჩქარებლად მათ უფლება აქვთ აგრეთვე აირჩიონ 5 თავისი რწმუნებული მიწის მიმღებ კომისიებში. საადგილ-მამულო კომიტეტების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან იმოქმედონ მიწად მოქმედების სამინისტროს რწმუნებულთან შეთანხმებით და მიწის ნორმის გადიდება იმ შემთხვევაში მოახდინონ თუ ამას მოითხოვს ამა თუ იმ მეურნეობის ხასიათი და როდესაც შესაძლებელი იქმნება თავისუფალი მიწის ფონდის საშვალებით (მაგ. აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში).

4) თუ რა ზომის მიწა უნდა დარჩეს მემამულეს ეს განისაზღვრება იმით თუ როგორი მეურნეობა სწარმოებს იმ რაიონში სადაც მამულებს კონფისკაციას უშვებიან.

თუ ერთი ნაწილი ჩამოსართმევი მამულისა ეკუთვნის უმაღლეს კატეგორიას და მეორე მდაბალს იმ შემთხვევაში ნორმის განსაზღვრა მოხდება როდესაც მემამულე განაცხადებს თუ რომელი კატეგორიის მიწა სურს მას რომ დარჩეს, თუ მემამულეს სურს დარჩეს ნაწილი უმაღლესი კატეგორიიდან და ნაწილი მდაბალი კატეგორიიდან იმ შემთხვევაში იგი მიიზომავს ჯერ უმაღლესი კატეგორიის მიწას და რაც ნორმიდან დააკლდება მას უფლება ეძლევა მიიზომოს პროპორციონალურად გადიდებული მდაბალი კატეგორიის მიწა. (მაგ. თუ პირველი კატეგორიიდან მას დარჩა 3 დესეტინა მიწა, დანარჩენი 4 დესეტინის ნაცვლად მიეცემა მეორე კატეგორიის (სახნავ სათესი) მიწა, მხოლოდ თითო დესეტინის ნაცვლად მიეცემა 2 1/7 დესეტინა. ხოლო მესამე კატეგორიის მიწიდან საძოვარი ადგილი მას მიეცემა პირველი კატეგორიის ერთი დესეტინის ნაცვლად 5 5/7 დესეტინა და მეორე კატეგორიის ნაცვლად კი 2 2/3 დესეტინა.

5) თუ ჩამოსართმევი მამული იმყოფება იმ რაიონში სადაც მხოლოდ პური მოდის და მემამულეს სურს დარჩეს მას ბაღი, რომელსაც მრეწველობის ხასიათიც კი არ ექნება, ეს ბაღი უნდა ჩაირიცხულ იქმნეს პირველი კატეგორიის მიწებში.

**ხელს აწერს მიწად მოქმედების მინისტრის ამხანაგი.**

## იმერეთის ეპარ. სამღვდელოების „ლაზარეთი“.

ქართველი სამღვდელოება მარად ჟამს, ჭირსა და ლხინში, გვერდში ედგა ქართველ ერს და თავს დასტრიალებდა მას, როგორც ერთგული, მზრუნველი და მოყვარული მამა. ამ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, დროთა უკუღმართად ბრუნვამ, მართალია [illegible] თავის ერს და დამხობილი [illegible] რეჟიმის ბიუროკრატიის მოსამსახურეთ გახადა, მაგრამ რევოლუციის ძლევა-მოსილმა სხივებმა ხელახლა გამოაცოცხლა და [illegible] ხალხის [illegible] გიური ხასიათი [illegible] იმის გა- [illegible] იმერეთის სოფლებში მღვდლების მეთაურობით ხალხი ირაზმება და საომარ ფეხზე დგება. მათივე შთაგონებით კეთილნებლობითი შეწირულება იკრიბება სამღვდელოთა და საერთაშორისო და ომის მიზნებს ხმარდება. ეკლესიები და მონასტრები ამ საერთო ფერხულში ჩაებენ და ასი და ორასი თუმნობით ეწევიან ომის საჭიროებას. იმერეთის სამღვდელოების ასეთ სულიერ განწყობილებას ქუთათელ მიტროპოლიტს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ანტონს უნდა ვუმადლოდეთ. მათმა მეუფეებამ ასეთ კეთილ საქმეს ამა წლის პირველ აპრილს ჩაუყარა საძირკველი. ამ დღეს, ქ. ქუთაისის სამღვდელოებამ, მათის მეუფეების თავმჯდომარეობით, საგანგებო ბჭობა იქონია სხვათა შორის იმაზედაც თუ ომში დაჭრილ დასახიჩრებულთ როგორი, რეალური დახმარება აღმოუჩინონ. ამ საგნის შესახებ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა ყოვლად სამღვდელო ანტონმა და მოუწოდა სამღვდელოებას შეერთებული ძალ-ღონით იმერეთის სამღვდელოების სახელით „ლაზარეთი“ გაეხსნათ დაჭრილთათვის. მიუხედავთ იმისა, რომ ასეთი „ლაზარეთი“ არა მცირე ნივთიერ მსხვერპლს ითხოვდა სამღვდელოებისაგან წინადადება მაინც ერთსულოვნად იქმნა მიღებული. „ლაზარეთი მოთავსდება ქალთა ეპარქიალურ გიმნაზიაში. დამსწრეთა შორის იმავე დღეს რამოდენიმე ათეული თუმანი იქმნა შეკრებული და მას შემდეგ ყოველ დღე მიდის შეწირულება მათი მეუფეების სახელზე. „ლაზარეთი“ ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას. ბედნიერია ის კაცი, რომელიც თავის სიტყვით და საქმით, კეთილი საქმეებისთვის, აამოქმედებს მრავალთა.

მ. ბუაჩიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**

**იყიდება** საოჯახო ნივთები. სომხების ქუჩა სახლი იოსებ კაკიტელაშვილის პეტროვისას. მიღება მნახველების 12 საათიდან.

ახლად დაბეჭდილი ქართული წიგნები:

# ქუთაისი.

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ დაბეჭდილია და გასაყიდად დამზადებული:

**ა. ჭიჭინაძე.** პირველ-დაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა, მესამე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.

**მ. ზაალიშვილი.** მოკლე სახელმძღვანელო ბუნების-მეტყველებისა **„არაორგანიული ბუნება“**. მეორე გამოცემა. ფ. 2 მ. 60 კ.

**მისივე.** მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა **„ადამიანი, ანატომია და ფიზიოლოგია“**. ნაწილი მესამე. ფ. 1 მ. 50 კ.

5—4

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისათ. ყოველ დღიურ გაზეთ

# „საქართველო“-ზე

**ხელის მოწერის ფასი:** ერთი წლით 50 მანეთი, 6 თვით 27 მანეთი, 3 თვით 13 მან. 50 კაპ., 1 თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მან. 50 კ. ნუმერი ღირება 20 კაპ.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, контора газ. „Сакартвело“, почт. ящ. 76.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. **მისამართი:** სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.